

დაწყებითი კლასის მოსწავლეთა საგნობრივი წრე ბუნებისმეტყველებაში

წრის სახელწოდება - ჩვენ გვიყვარს ბუნება

კლასი - I

კურსის ხანგრძლივობა: 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრი

მეცადინეობა ჩატარდება - ოთხშაბათს, 13:00-13:50

წრის ხელმძღვანელი - ნონა ხიდაშელი

ბუნებისმეტყველების წრის მუშაობის მიზანი:

- გაუჩინოს მოსწავლეს ინტერესი და აზიაროს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს;
- განუვითაროს კვლევითი უნარჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს, შეიცნოს და გაითავისოს სამყარო;
- შეაყვაროს ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნება და განუვითაროს მისადმი მზრუნველი დამოკიდებულება;
- ჩამოუყალიბოს ბუნების დაცვის აუცილებლობის შეგნება.

განსავითარებელი უნარ-ჩვევები

- დაკვირვების უნარ-ჩვევები;
- კლასიფიცირების, მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები;
- შემოქმედებითი უნარი;
- შედარება-დაპირისპირების უნარი;
- თანამშრომლობის უნარი;

ბუნებისმეტყველების წრის მოკლე აღწერა

საწრეო მუშაობა მოსწავლეებს შეუქმნის პოზიტიურ განწყობას ბუნებისადმი, შეაყვარებს საგანს, და მოსწავლეს უფრო ჰუმანურს გახდის გარე სამყაროს მიმართ.

საწრეო მუშაობის ფარგლებში მოსწავლეები ჩაატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს, მოახდენენ გარემოზე დაკვირვებას, შექმნიან პოსტერებს, მოახდენენ კვლევის შედეგების პრეზენტაციას.

სემესტრის განმავლობაში წარმართული საწრეო მუშაობა აქტუალურია, რადგან სწორედ ამ ასაკში იწყებენ ბავშვები ბუნებაში დამოუკიდებლად ორიენტაციას და უჩნდებათ მისი კვლევის უნარი, აწუხებთ უამრავი კითხვა სამყაროს მიმართ.

კვლევა-ძიებისათვის განკუთვნილი სავარჯიშოები და დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები დადებით სასწავლო მოტივაციას შეუქმნის მოსწავლეებს და სახალისოსა და საინტერესოს გახდის არა მარტო ბუნებისმეტყველების წრის მეცადინეობებს, არამედ საგაკვეთილო პროცესსაც.

მუშაობისას გამოყენებული იქნება რესურსები:

თაბახის ფურცლები, დაფა, პროექტორი, წებოვანი ბარათები, მარკერები, კალმები, ვიდეო რესურსები კლასგარეშე ლიტერატურა ერთჯერადი თეფშები, ფოტოაპარატი და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.ვარდიაშვილი, მ. ჭელიძე, ი.ავალიანი - ბუნებისმეტყველება
2. ხათუნა გოგალაძე - „მარტივი ექსპერიმენტები ბუნებაში“
3. სახალისო ექსპერიმენტები
4. ი. გოგებაშვილი - ბუნების კარი
5. ბაკურ სულაკაური - საბავშვო ენციკლოპედია

წრის მუშაობის პროგრამა და განრიგი

| N | თარიღი | თემის დასახელება |
|----|------------|---|
| 1 | 09.10.2019 | ჯგუფის წევრების შეხვედრა, საწრეო მუშაობის შინაარსის და პროგრამის გაცნობა. |
| 2 | 16.10.2019 | ექსკურსია გორის კულტურისა და დასვენების პარკი |
| 3 | 23.10.2019 | მცენარეთა სამყარო |
| 4 | 06.11.2019 | დავიცვათ დედამიწა |
| 5 | 13.11.2019 | სახალისო ექსპერიმენტი ვულკანის იმიტაცია |
| 6 | 20.11.2019 | რა არის ჰაერი |
| 7 | 27.11.2019 | სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება |
| 8 | 11.12.2019 | ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება |
| 9 | 18.12.2019 | ცოცხალი და არა ცოცხალი ბუნება |
| 10 | 25.12.2019 | ცხოველთა საარსებო გარემო |